ქ. თბილისი, ჟორესის ქუჩა #7

შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია #1,,
ავტობაზის მშენებლობა

ს/კ. N 01. 19. 22. 007. 047

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის განმარტებითი ბარათი

შეადგინა: ბ. დგებუაძე



,,ბ.დ. ჯგუფი,,

თბილისი - 2025

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება. მშენებლობის პირობები.
2. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა ----------
3. მშენებლობის განხორციელების ტექნოლოგიური ნორმალი ----------
4. მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები ----------
5. მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები ----------
6. ინსტრუმენტალური კონტროლი ----------
7. მითითებები ქვაბულის ამოღებაზე - მიწის სამუშაოები ----------
8. მითითებები მიწისზედა სამუშაოების წარმოებაზე ----------
9. რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები ----------
10. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა ----------
11. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები ----------
12. მოპ-ის შედგენისათვის ნორმატიული ბაზა ----------
13. საერთო სამშენებლო გენერალური გეგმა. ფაზა 1 ---------- მოპ-1
14. საერთო სამშენებლო გენერალური გეგმა. ფაზა 2 ---------- მოპ-2
15. საერთო სამშენებლო გენერალური გეგმა. ფაზა 3 ---------- მოპ-3
16. საერთო სამშენებლო გენერალური გეგმა. ფაზა 4 ---------- მოპ-4
17. მშენებლობის განხორციელების კალენდარული გეგმა ---------- მოპ-5

1. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება

1.1. ქ. თბილისი, ჟორესის ქუჩა #7. ,,შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია #1,, ავტობაზის მშენებლობა.

ფუნქცია - მრავალფუნქციური სამშენებლო კომპლექსი.

შენობის კლასი - 4

პროექტით გათვალისწინებულია მრავალფუნქციური სამშენებლო კომპლექსის მშენებლობა.

უბანი ხასიათდება შემდეგი კლიმატურ–სეისმური ფაქტორებით;

– ქარის ჩქაროსნული დაწოლა – 70კგძ/მ^2.

– თოვლის დატვირთვა – 50კგძ/მ^2.

– სამშენებლო მოედნის სეისმურობა – 8 ბალი.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია შენობის სრული საინჟინრო აღჭურვა წყალსადენ–კანალიზაციის, ელექტრო მომარაგების სისტემებით მოწყობა.

1.2. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნით უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო - გეოლოგიურ პირობებში იმყოფება.

1.3. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საბაზრო ურთიერთობების პირობებში განსაზღვრავს მშენებლობაზე სამუშაოთა განხორციელების წინასწარ ღირებულებას და არ წარმოადგენს დამკვეთსა და მოიჯარეს შორის გადახდის საშუალებას. მათ შორის ანგარიშსწორება უნდა მოხდეს ფაქტიური დანახარჯების მიხედვით.

1.4. მშენებლობის მომარაგება მასალებითა და ნაკეთობებით ორიენტირებულია ბაზარზე.

1.5. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებისა და ნახაზების კორექტირების გარეშე

დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის და ინჟინრის მხრიდან.

1.6. მშენებლობის განხორციელებასთან და წარმართვასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, გაანგარიშებები და რეკომენდაციები ჩამოყალიბებული და განმარტებულია მოპ-ის ცალკეულ შესაბამის თავებში.

2. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

2.1. მშენებლობის ხანგრძლივობის ვადებისა და მისი განხორციელების ცალკეული პერიოდების დასადგენად ხელმძღვანელობენ სნ და წ 1.04.03-83 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები და მარაგნაკეთი“.

2.2. აუცილებელია მშენებლობა წარიმართოს მაქსიმალურ ვადებში, ამიტომ დამკვეთთან შეთანხმებით დადგინდა მშენებლობის გეგმიური ხანგრძლივობა მთელი შენობისათვის განხორციელდეს 22 თვე და 6 დღე.

2.3. მშენებლობის განხორციელების შენაკრებ კალენდარულ გეგმაზე ობიექტის მშენებლობის შემოთავაზებული თანმიმდევრობა რეკომენდებული ხასიათისაა. მისი კორექტირება შესაძლებელია სამუშაოთა წარმართვის პროცესში დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით და მშენებლობის პროცესში აღმოჩენილი შესაძლებლობებით.

2.4. ობიექტის მშენებლობის დასრულება გეგმიურ ვადებში სასვსებით შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს მშენებლობის რაიონის რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმაც, აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციის მძლავრმა საწარმოო ბაზამ.

2.5. აღნიშნულის მიხედვით შედგა მშენებლობის განხორციელების შენაკრები კალენდარული გეგმა. (იხ. ნახ. მოპ-5).

3. მშენებლობის განხორციელების ტექნოლოგიური ნორმალი.

შენობა-ნაგებობების საორგანიზაციო-ტექნოლოგიური სამუშაოების მიმდევრობის საორგანიზაციო–ტექნოლოგიური სქემა.

ავტობაზის რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზების სქემით, დამკვეთის მოთხოვნით, არ უნდა მოხდეს მისი ფუნქციონირების სრული გაჩერება. ამ პირობის გათვალისწინების მიზნით სამუშაოების ჩატარება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად და სეგმენტურად.

საპროექტო ტერიტორიის დაყოფა რამდენიმე სამუშაო სივრცედ, და ავტობაზის ერთ სივრცეში სამუშაოების ჩატარება არ გამოიწვევს ავტობაზის მუშამბის სრულ პარალიზებას, ავტობაზის უმეტესი ნაწილი მუდმივად იფუნქციონირებს.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდში 150-200 ავტობუსი იქნება გასაყვანი ავტობაზის ტერიტორიიდან. სასურველი იქნება მათი გაყვანა გვერდით მდებარე ტერიტორიაზე (საკ.ნომერი 01.19.22.007.069).

ფაზა I - სივრცე #1

N1 სივრცეში სამუშაოების განხორციელების პერიოდში ავტობაზა აგრძელებს

ფუნქციონირებას, მათ შორის სერვისი და ადმინისტრაცია, შესასვლელი, სამრეცაო და საწვავგასამათი სადგური. ამ ეტაპზე მცირდება ავტობუსების სადგომების რაოდენობა, რის გამოც საჭირო ხდება ავტობუსების განლაგება ალტერნატიულ ტერიტორიაზე.

მოსამზადებელი სამუშაოები: – I რიგის სამუშაოები.

– გარე კედლის ნაწილის დემონტაჟი და დროებითი შესასვლელის მოწყობა N1 სივცეში;

– დროებითი შემოღობვის აგება N1 სივცის პერიმეტრზე.

– არსებული ნაგებობების დაშლა, შენობები, 3,4,5,8,9,10.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები: II რიგის სამუშაოები

– მიწის რელიეფის მომზადება;
– გარე პერიმეტრის ღობის მოწყობა;
– საწვავ-გასამართ სადგურის და მისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა;
– განათების ანძების და ვიდეოთვალების ბოძების დაყენება;
– ელ.ქვესადგურის მოწყობა და ელექტროქსელთან მიერთება;
– მიწისქვეშა კომუნიკაციების გაყვანა;
– ბეტონის საფარის მოწყობა;
– დიზელგენერატორის დამონტაჟება;
– გარე განათების პროჟექტორების მონტაში;
– სათვალთვალო კამერების მონტაში;

N1 სივრცეზე სამუშაოების დასრულების შემდეგ ავტობაზა ღებულობს 57ც. ავტობუსის სადგომს და ახალ გამართულ საწვავგასამართ სადგურს.

ფაზა II - სივრცე#2

სამუშაოების მეორე ფაზის, N2 სივრცე, ძირითადი მიზანია ახალი სამრეცხაოს და საქვაბის აშენება.

მოსამზადებელი სამუშაოები: I რიგის სამუშაოები.

– საწვავგასამართი სადგურის საწვავისგან დაცლა;
– დროებით შემოღობვის აგება N2 სივრცის პერიმეტრზე;
– ლითონის კასრების გატანა ავტობაზის ტერიტორიიდან.

არსებული ნაგებობების დაშლა, შენობები 13,14,15,16,17,18.
–საწვავის ავზების დემონტაჟი;
–განათების ბოძების დემონტაჟი;
–ასფალტის და რკინაბეტონის საფარის დემონტაჟი;
–მიწისქვეშა კომუნიკაციების დემონტაჟი;
–გერე კედლის დემონტაჟი.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები: II რიგის სამუშაოები.

–მიწის რელიეფის მომზადება;
–გარე პერიმეტრის ღობის მოწყობა;
–მიწისქვეშა კომუნიკაციების გაყვანა;
–სამრეცხაოს მშენებლობა;
–სამრეცხაოს წყლის გამწმენდი ჭების მოწყობა;
–ხანძარსაწინააღდეგო სატუმბი სადგურის მშენებლობა;
–საქვაბის მშენებლობა;
–განათების ანძების და სამეთვალყურეო კამერების სამონტაჟო ბოძების დაყენება;
–სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა;
–ბეტონის საფარის მოწყობა;
–გარე განათების პროჟექტორების მონტაჟი;
–სათვალთვალო კამერების მონტაჟი.

N2 სივრცეზე სამუშაოების დასრულების შემდეგ ავტობაზას ემატება ახალი სამრეცხაო და 50 ცალი ახალი ავტობუსის სადგომი. ავტობუსებს ეძლევა შესაძლებლობა შევიდნენ ახალ გარემონტებულ ტერიტორიაზე NN 1და 2 სივრცეებში დროებითი შესასვლელიდან, მივიდეს ახალ საწვავგასამართ სადგურის ტერიტორიაზე და შემდგომში გაირეცხოს ახალ სამრეცხაოში. ამ ტერიტორიიდან გასვლა მათ უკვე შეეძლებათ სათადარიგო გასასვლელიდან.

ფაზა III - სივრცე #3.

სამუშაოების მესამე ფაზის, სივრცე N3, ხდება ავტობაზის არსებული შესასვლელის და სამრეცხაოს დემონტაჟი, ახალი შესასვლელის აშენება და ავტობუსების სადგომის ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქცია.

მოსამზადებელი სამუშაოები: I რიგის სამუშაოები

- დროებითი შემოღობვის აგება 3 სივრცის და სერვისცენტრის მიმდებარე ტერიტორიას;
- ხეების ამოძირკვა და გადარგვა.
- არსებული ნაგებობების დაშლა, შენობები 1, 2, 6, 7, 11, 12;

- განათების ბოძების დემონტაჟი;
- ასფალტის და რკინაბეტონის საფარის დემონტაჟი;
- მიწისქვეშა კომუნიკაციების დემონტაჟი.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები: II რიგის სამუშაოები

- მიწის რელიეფის მომზადება;
- საყრდენი კედლის აშენება;
- მიწისქვეშა კომუნიკაციების გაყვანა;
- შესასვლელის მშენებლობა და მოწყობა, დაცვის ჯიხურების მშენებლობა;
- განათების ანძების და სამეთვალყურეო კამერების სამონტაჟო ბოძების დაყენება; ბეტონის საფარის მოწყობა;
- გარე განათების პროჟექტორების მონტაში;
- სათვალთვალო კამერების მონტაში.

N3 სივრცეზე სამუშაოების დასრულების შემდეგ ავტობაზა უკვე ღებულობს სრულყოფილ შესასვლელს და დამატებითი რაოდენობას ახალ ავტობუსების სადგომებს.

ფაზა IV; - სივრცე #4.

სამუშაოების მეოთხე ფაზის სივრცე N4, ხორციელდება სერვისცენტრის ძირითადი ნაწილის მშენებლობა და აღჭურვა ტექნოლოგიური დანადგარებით.

მოსამზადებელი სამუშაოები: I რიგის სამუშაოები

–დროებით შემოღობვის აგება N4 სივრცესა და დანარჩენ ტერიტორიას შორის;

ხეების ამოძირკვა და გადარგვა.

არსებული ნაგებობების დაშლა შენობები 19,20.

–განათების ბოძების დემონტაჟი;
–ასფალტის და რკინაბეტონის საფარის დემონტაჟი;
–მიწისქვეშა კომუნიკაციების დემონტაჟი.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები: II რიგის სამუშაოები.

–მიწის რელიეფის მომზადება;
–რკინა–ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა;
–მიწისქვეშა კომუნიკაციების გაყვანა;
–ბეტონის საფარის მოწყობა;
–დაცვის ჯიხურების მშენებლობა;
–სერვისცენტრის მისაშენებელი ნაწილის მშენებლობა და მოწყობა;
–დროებითი ელ.კაბელის მიყვანა;
–სერვისცენტრის მიშენებული ნაწილის აღჭურვა ტექნოლოგიური მოწყობილობით.
–პერიმეტის შემოღობვის სამუშაოები.

N4 სივრცეზე სამუშაოების დასრულების შემდეგ ავტობაზა ღებულობს ავტობუსების სარემონტო სივრცეს, რაც ნაწილობრივ დააკმაყოფილებს ავტობაზის მოთხოვნებს ამოსაღებია.

საბოლოო სამუშაოები:

–ტერიტორიის კეთილმოწყობა;

დასრულებული ტესტირება, ექსპლუატაციაში გაშვება

4. მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპი

4.1. ჩვენს მიერ შედგენილი მოპ-ი ითვალიწინებს სნ და 3.01.01-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

4.2 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

– დავალება პროექტირებაზე;

– პროექტით მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტები;

– მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;

– გეოდეზური გეგმები და პროფილები;

– საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები;

– ობიექტის ნატურაში დათვალიერება.

4.3 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისობით.

4.4 მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობით.

4.5. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. აუცილებელია სამშენებლო მოედნის შემოკავება ღობით.

4.6. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამონათვალი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით. ბეტონის მიწოდებისთვის უნდა გამოვიყენოთ მიქსერები და ბეტონდამჭიხნი. სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ და წ III – 15-80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

4.7. გეოდეზურ-დაკვალვითი სამუშაოები სრულდება სნ და 3.01.01-85 „გეოდეზური სამუშაოები მშენებლობაში“ მოთხოვნათა გათვალისწინებით. წითელ ხაზებში მოქცეული ტერიტორია უნდა დადასტურდეს მერიის ზედამხედველობის არქიტექტურის სამსახურის მიერ შენობების დაკვალვასთან ერთად.

4.8 მშენებლობის ცალკეულ ეტაპზე და მათ წარმართვაზე უფრო დეტალურად იხილეთ მომდევნო სათანადო ნახაზებზე.

4.9. მშენებლობა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ. დახურული სამუშაოების მიღება ავტორების კონტროლის ქვეშ დადგენილი წესით აუცილებელია.

5. მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები

5.1 მშენებლობის ორგანიზაცია და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987 წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა „კრებული სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები“

5.2. მოედნის მოშანდაკებისა და საძირკველის ქვეშ ქვაბულის ამოღების სამუშაოები უნდა წარიმართოს მექანიზებული წესით თანახმად სნ და წ 3.02.01-83-ისა.

5.3. ყველაზე შრომატევად და საპასუხისმგებლო სამუშაოებად გვევლინებიან დაარმატურებისა და დაბეტონების პროცესები. მათი შესრულება აუცილებელია სნ და წ 111-15-76 მოთხოვნილებების დაცვით.

5.4. ფუძე საძირკვლების მოწყობისას ხელმძღვანელობენ სნ და წ 3.02.01-83 ნორმებით ფუძეები და საძირვლები.

5.5 ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო ფირმამ სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

– სნ და წ 111-17-78 „ქვის კონსტრუქციები“;

– სნ და წ 111-18-79 „ლითონის კონსტრუქციები“;

– სნ და წ 111-19-81 „ხის კონსტრუქციები“;

– სნ და წ 111-20-74 „ბურულები, ჰიდროიზოლაცია; ორთქლიზაცია და თბოიზოლაცია“;

– სნ და წ 111-21-79 „სამშენებლო კონსტრუქციების მოსაპირკეთებელი სამუშაოები“;

– სნ და წ 111-3-14-78 „ იატაკები“;

– სნ და წ 3.04.03-85„ კოროზისაგან დაცვა“;

– სნ და წ 111-28-79 „შენობებისა და ნაგებობების სანიტარულ - ტექნიკური მოწყობა“;

– სნ და წ 111-29-79 „გაზით მომარაგება, შიდა მოწყობილობა, გარე ქსელები და ნაგებობები“;

– სნ და წ 111-33-79 „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები“;

– სნ და წ 111-10-78 „ ტერიტორიის კეთილმოწყობა“;

– სნ და წ 111-4-80 „უსაფრთხოების ტექნიკაში“;

– სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

– სნ და წ 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა“;

– ინსტრუქცია „სამშენებლო-სამონტაჟო სამუსაოთა ხარისხის შეფასების შესახებ“;

– ინსტრუქცია „მშენებლობით დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება.

5.6. აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

– გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი;
– წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;
– მავნე ქიმიური ელემენტები, მათი კლასიფიკაცია და უსაფრთხოება, 1998 წელი.

გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, წყლის აღებისა და ჩაშვების, ნარჩენების უტილიზაციის, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების საკითხები.

კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.

მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა აუცილებელია სპეციალური ბუნკერებით, ხოლო სამშენებლო ნაგვისა დამოკიდებულია სამშენებლო სამუშაოების მტვერშემცველობაზე. თუ სამშენებლო ნაგავი მტვერის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მას აუცილებელია გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან.

6. ინსტრუმენტალური კონტროლი

6.1 გეოდეზური კონტროლის დროს მოწმდება შენობის ელემენტებისა და ცალკეული კონსტრუქციების შესაბამისობა პროექტთან მათი მოწყობის პროცესში.

6.2 თავდაპირველად ამაგრებენ დაკვალვის გარე ქსელს სამშენებლო მოედანზე ნახაზზე მიღებული ღერძების გადატანით ნატურაში. სანიველირო და დგომითი დაკვალვის წერტილები უნდა იყოს გაერთიანებული.

6.3 ელემენტებისა და კონსტრუქციების გეგმური და მაღლივი მდგომარეობა, მათი ვერტიკალურობა, ჩასატანებელი დეტალების დაყენების სიზუსტე მოწმდება შენობის შიდა დაკვალვის ნიშნულებიდან, ხოლო საინჟინრო კომუნიკაციებისა - გარე დაკვალვის ქსელის ან რეპერების მყარი წერტილებიდან.

6.4 მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა

ხდებოდეს ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობით.

6.5 სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს დროებითარსებული სათავსების გამოყენება, სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით. სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული: ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით და სათვალეებით, ნაგვის გატანა სპეციალური ტანსაცმლით და სათვალეებით, ნაგვის გატანა სპეციალური ავტოთვითმცელების საშუალებით. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციების გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში.

6.6 სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით. სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ და წ III-15-80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

7. მითითებები ქვაბულის ამოღებაზე - მიწის სამუშაოები

7.1 ტერიტორიის მოშანდაკების შემდეგ წარმოებს შენობის ღერძული დაკვალვა და მისი მიბმა რეპერებთან, რაც სრულდება სპეციალისტთა მონაწილეობით და სათანადო აქტის შედგენით.

7.2 ქვაბული უნდა მოეწყოს ბუნებრივი განხრის კუთხით და ფერდის ნაწილობრივი გამაგრებით. იატაკის დონეზე მონოლითური რკ/ბ საძირკვლის ფილის მოწყობით. ქვაბულის ფერდის ქანობი მიღებულ იქნეს სნ აწ. 3.02.01.87 $ 3.11 და $ 3.15 და სნ და წ. III -4-80 მიხედვით. იხილე კონსტრუქციული ნახაზი. ქვაბულის მიღება უნდა მოხდეს ინჟინერ-გეოლოგის მიერ შესაბამისი აქტების შედგენით, პარალელურად უნდა

მოხდეს შესაბამისი დამკვეთის სამსაზურის მიერ ქვაბულისა და საძირკვლების მიღება ექსპლუატაციაში.

7.3 მიწის სამუშაოების შესრულების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინსტრუმენტალური კონტროლი. გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის დარღვევა სასურველი არ არის. ქვაბულის ძირში გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის შენარჩუნება აუცილებელია.

7.4 მიწის ამოღება - გატანა უნდა ვაწარმოოთ მექანიზირებული წესით.

7.5 ქვაბულის ამოღების შემდეგ მოეწყოს რკ/ბეტონის საძირკვლის ფილა. მიწაში ჩაღრმავებული კედლების ამოყვანის შემდეგ საჭიროა მათ ირგვლივ ცარიელი სივრცის შევსება შემოტანილი გრუნტით.

7.6 ცალკეული სამშენებლო და სამონტაჟო სამუსაოთა შესრულება აუცილებელია საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობითა და მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

7.7 ცალკეულ სამუშაოებზე მათი შესრულების მეთოდებისა და წესების შესახებ, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების წესების თაობაზე დოკუმენტები ქართულ ენაზე თავმოყრილია მშენებლობის სამინისტროს მიერ 1986 წელს გამოცემული კრებულ-სამახსოვროში „სამშენებლო წარმოების წესები და ნორმები“.

8. მითითებები მიწისზედა სამუშაოთა წარმოებაზე

8.1 შენობის აგებაზე სამუშაოთა ჩასატარებლად მიწისზედა სამუშაოების წარმართვა რეკომენდირებულია მობილური ამწეების გამოყენებით.

8.2 ბეტონის აწოდება და ჩასხმა გადახურვებში სასურველია განვახორციელოთ „პომპის საშუალებით“.

8.3 სამშენებლო წარმოების თვალსაზრისით შემზღუდავი პირობები არ აღინიშნება. სამუშაოები წარმოებს საკადასტრო საზღვრების ფარგლებში მოწყობილი ღობიშ შიგნით.

8.4 სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს ინსტრუმენტალური კონტროლისა და საავტორო ზედამხედველობის ქვეშ შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების განუხრელი დაცვით.

8.5 ობიექტი ვერ ჩაბარდება ექსპლუატაციაში შენობის სრული დამთავრებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-გამწვანების გარეშე.

8.6 ფასადების მოპირკეთება მოხდება მიდგმულ-ვერტიკალური ხარაჩოების საშუალებით.

8.7 ცალკეული სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება აუცილებელია საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობითა და მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

9. რეკომენდირებული სამშენებლო-დანადგარები,

მაქანიზმები და ინსტრუმენტები.

9.1 მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

	დასახელება	მარკა	რაოდ. ცალი
	2	3	2
1	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სამშენებლო ტვირთის შემოსატანად	სხვადასხვა	2
2	ავტობეტონდამჭიხნი „პომპა“	-	1
3	ავტობეტონმრევი ,,მიქსერი,,	-	2
4	შესადუღებელი აგრეგატი	CO - 48	2
5	მობილური ავტო-ამწეები საავტომობილო სვლაზე, სხვადასხვა მარკის, იცვლებიან საჭიროების მიხედვით	–	1
6	ელექტროშესადუღებელი აპარატი	კომპ	2
7	ავტოგენური შედუღების აპარატი	კომპ	1

8	ლითონის სახარაჩო სექციები	კომპ	60
9	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა	კომპ	2
10	სიღრმითი ვიბრატორი	C - 3698	1
11	ზედაპირული ვიბრატორი	C - 697	1
12	ცემენტის ფენის მოსასწორებელი აგრეგატი	CO - 89	1
14	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები	კომპ	5
15	ექსკავატორი 1 მ3 ჩამჩით	-	1
16	ბობკატი	-	1

9.2 რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

10. მშენებლობაზე შრომისა და ელექტრო უსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული. თანახმად „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“ და სხვა ნორმატიულ - საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

10.1 სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

10.2 ბეტონის ტუმბოს გამოყენებისას ნარების მიწოდება და ჩასხმა ქარგილებში უნდა მოხდეს ერთ მეტრზე ნაკლები სიმაღლიდან.

10.3 ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

10.4 მშენებლობაში საჭიროა სერტიფიცირებული მასალების და ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.

10.5 ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.

10.6 საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას, მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.

10.7 საყალიბო ქარგილები დაყენების შემდეგ მოწმდება საიმედობაზე მათში ბეტონის ჩასხმამდე. ასევე მოწმდება ბადიის საიმედობაც და წესრიგიანობაც სამაგრების თვითგახსნა რომ არ მოხდეს.

10.8 მასალების და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.

10.9 ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

10.10 იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოს შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

10.11 სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწეველები და მოზაიკის საპრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ელექტროქსელის სამსახურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში. მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკანე.

10.12 მობილური ამწეების; ბეტონდამჭიხნი დანადგარების („პომპა“); ელექტროსაწეველას და სხვა მანქანამექანიზმების მუშაობის პერიოდში მიშ ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ

პირთა ყოფნა აკრძალულია. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. ამწის მუშაობის დროს მოშორებით დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.

11. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

11.1 მშენებლობის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპაციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.

11.2 საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებულ ზონაში.

11.3 დაუშვებელია საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარმილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

11.4 გარემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე მშენებლობის ზონაში იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

11.5 ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისობით.

12. მოპ-ის შედგენისათვის ნორმატული ბაზა

12.1 სნ და წ 3. 0.1 0.1-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“.

12.2 სნ და წ 1. 0.4 0.3-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები საცხოვრებელი სახლები მშენებლობაზე“.

12.3 კრებული-სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები „ამონაკრები მომქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან“, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 1987 წელი ქართულ ენაზე.

12.4 სნ და წ III – 4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე“.

12.5 შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები. ,,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებით,,

12.6 საქართველოს მთავრობის #255 დადგენილება 2019 წლის 31 მაისი. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესაღებ,,

ქ. თბილისი, ჟორესის ქ.#7

,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია #1,, ავტობაზის მშენებლობა

მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

ს/კ 01.19.22.007.047

მშენ. ფაზა	სამშ. რიგი	სამუშაოს ეტაპები	განზ.	რ.–ბა	22 თვე და 6 დღე																						
					1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	7 თვე	8 თვე	9 თვე	10 თვე	11 თვე	12 თვე	13 თვე	14 თვე	15 თვე	16 თვე	17 თვე	18 თვე	19 თვე	20 თვე	21 თვე	22 თვე	23 თვე
ფაზა 1 (180 დღე)	I რიგის სამუშაოები	1.მოსამზადებელი სამუშაოები: · დროებით დამცავი ღობის მოწყობის – 5 დღე · არსებული ნაგებობების დაშლა, შენობები 3,4,5,8,9,10 – 25 დღე · არსებული პანელოვანი ღობის დაშლა – 5 დღე	დღე	30	30 დღე																						
	II რიგის სამუშაოები	· საწვავგასამართი სადგურის მშენებლობა, ოპერატორის შენობა, რეზერვუარის დამცავი კამერა, ბეტონის ჭა – 80 დღე · საინჟინრო სისტემების მოწყობა – 55 დღე · ტრანსფორმატორის შენობა – 75 დღე · სუსტი დენების სისტემები – 45 დღე · ავტომატური მართვის სისტემა – 25 დღე · ტერიტორიის მოწყობა და ბეტონის სამუშაოები – 75 დღე · პერიმეტრის შემოღობის სამუშაოები – 75 დღე	დღე	150				150 დღე																			
ფაზა 2 (220 დღე)	I რიგის სამუშაოები	1.ავტობუსების სამოძრაო გზები და 75 სადგომი 8მ. ავტობუსებისთვის · დროებით დამცავი ღობის მოწყობის – 5 დღე · არსებული ნაგებობების დაშლა, შენობები 13,14,15,16,17,18 – 16 დღე · არსებული მიწისქვეშა რეზერვუარის დემონტაჟი – 14 დღე · საინჟინრო ქსელები (წყალმომარაგება, წყალარინება, ელ.მომარაგება, გათბობა) – 100 დღე (ჯამური)	დღე	40		40 დღე																					
	II რიგის სამუშაოები	2.სატუმბი ქსელები · სამშენებლო სამუშაოები – 50დღე · ტექნოლოგიური და საინჟინრო ქსელის მოწყობა – 25 დღე 3. საქვაბე · სამშენებლო სამუშაოები – 50დღე · ტექნოლოგიური და საინჟინრო ქსელის მოწყობა – 45 დღე 4. სამშენებლო სამუშაოები – 80დღე · ტექნოლოგიური და საინჟინრო ქსელის მოწყობა – 60 დღე · ტერიტორიის მოწყობა და ბეტონის სამუშაოები – 100დღე · პერიმეტრის შემოღობის სამუშაოები – 90 დღე	დღე	180						180 დღე																	
ფაზა 3 (198 დღე)	I რიგის სამუშაოები	1.ავტობუსების სამოძრაო გზა და 32 სადგომი 10მ. ავტობუსებისთვის · დროებით დამცავი ღობის მოწყობის – 5 დღე · არსებული ნაგებობების დაშლა, შენობები 1,2,6,7,11,12 – 25 დღე	დღე	25			25 დღე																				
	II რიგის სამუშაოები	2. შესასვლელი შენობის მშენებლობა – 70 დღე · ტექნოლოგიური და საინჟინრო ქსელის მოწყობა – 40 დღე 3. დაცვის ჯიხური 2ც · სამშენებლო სამუშაოები – 80დღე · ტექნოლოგიური და საინჟინრო ქსელის მოწყობა – 10 დღე 4. საყრდენი კედლის და ღია სწყობის მოწყობა – 80დღე 5. ტერიტორიის და გარე კომუნიკაციების ქსელის მოწყობა – 70 დღე 6. ტერიტორიის მოწყობა და ბეტონის სამუშაოები – 90 დღე · პერიმეტრის შემოღობის სამუშაოები – 60 დღე	დღე	173													173 დღე										
ფაზა 4 (143 დღე)	I რიგის სამუშაოები	1.ავტობუსების სამოძრაო გზა და 16 სადგომი 8მ. ავტობუსებისთვის · დროებით დამცავი ღობის მოწყობის – 5 დღე · არსებული ნაგებობების დაშლა, შენობები 19,20 – 6 დღე	დღე	10				10 დღე																			
	II რიგის სამუშაოები	2. დაცვის ჯიხური 2ც · სამშენებლო სამუშაოები – 50დღე · ტექნოლოგიური და საინჟინრო ქსელის მოწყობა – 10 დღე 3. რკ.ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა – 40დღე 4. გარე საინჟინრო ქსელების მოწყობა – 30 დღე 5. ტერიტორიის მოწყობა და ბეტონის სამუშაოები – 50 დღე 6. პერიმეტრის შემოღობის სამუშაოები – 45 დღე	დღე	133																133 დღე							
საბოლოო სამუშაოები (120 დღე)	II რიგის სამუშაოები	1. ტერიტორიის კეთილმოწყობა – 90 დღე · დასრულებული სამუშაოების ტესტირება , ექსპლუატაციაში გაშვება, ობიექტის ჩაბარება – 60 დღე · დემობილიზაცია – 10 დღე	დღე	120																				20 დღე			
შენიშვნა :		წითლად ნაჩვენები სამუშაოები ტარდება პარალელურ რეჟიმში																									

_ mSenebl obis ganxorcielebis procesis rigiToba da etapebis CamonaTvali efuZneba saqarTvelos mTavrobis #255 (2019 wlis 31 maisi) dadgenilebas, mSenebl obis nebarTvis gacemis da Senoba-nagebobis eqspluataciaSi miRebis wesebisa da pirobebis Sesaxeb.

_ kodeqsiT gansazRvruli piris mier mSenebl obis dasrulebis Sesaxeb, oqmi dgeba samSenebl o moedanze warmoebuli samuSaoebis daTvalierebisa da sanebarTvo pirobebTan Sesabamisobis dadgenis safuZvelze.

Tanamdeboba	gvari	TariRi	xelmowera	q. Tbilisi, Joresis quCa #7 Tbilisis satransporto kompania #1 avtobazis mSenebloba	stadia	furceli	format
direqtori	b. dgebuaZe				mp	mop-2	AA 2
daamuSava	b. dgebuaZe						
Seamowma				mSenebl obis kalendaruli grafiki	masStabi		
					_	,,b.d. jgufi,,	

სამშენებლო გენგეგმა

ს/კ № 01. 19. 22. 007. 047



#	დასახელება
1	შემოსასვლელი შენობა
2	სადემონტაჟო შენობა
3	საპირფარეშო
4	სადემონტაჟო შენობა
5	ღია ანგარი
6	გამწმენდი ნაგებობა
7	სადემონტაჟო შენობა
8	საწყობი სადემონტაჟო შენობა
9	საწყობი
10	სამლებრო სათუნუქე
11	სამრეცხაო
12	სამრეცხაო ლითონის
13	საწყობი
14	სადემონტაჟო შენობა
15	საწვავგასამართი და ჯიხური
16	საწვავგასამართი და ჯიხური
17	საწყობი
18	სადემონტაჟო ჯიხური
19	საწვავგასამართის სანასოსე
20	სატრანსფორმატოროს შენობა
21	სადემონტაჟო შენობა
22	სერვისცენტრი და ადმინისტრაცია
23	არტერიული წყლის რეზერვუარი(მათ შორის ჯიხური)
24	შესანარჩუნებელი
25	არტერიული წყლის რეზერვუარი(მათ შორის ჯიხური)
26	სარეკონსტრუქციო ადგილი

სამშენებლო ღობის ესკიზი



– სამშენებლო ღობე წარმოადგენს მიწაში ჩაბეტონებულ ლითონის მილკვადრატებზე მერტიკალურ სიბრტყეში შეკიდულ თუნუქის პროფილირებულ ფურცელს ან ორიენტირებულ ბუოგუშილოვან ფილას. სიმაღლე - 2,20 მ.

– სამშენებლო გენგეგმა ეფუძნება დამკვეთის მიერ მოწოდებულ ტოპოგრადაღების მეგმას.

– სამშენებლო ღობე განთავსდეს საკალასტრო საზღვრებში, სამუშაო ფაზების გათვალისწინებით, ლოკალურად დასაშლელი და სამშენებლო შენობა-ნაგებობის სამშენებლო პროცესისათვის გათვალისწინებულ საზღვრ არეალში.

თანამდებობა	გვარი	თარიღი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, ძორწის ქუჩა №7 შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია №1„ ავტოპარკის მშენებლობა	სტადია	ფურცელი	ფორმატ
დირექტორი	ბ. ფხეიძე				მ.პ	მფპ-2	A2
დაამუშავა	ბ. ფხეიძე						
შეამოწმა				სამუშაოების წარმოების სამშენებლო გენგეგმა ფაზა- 2	მასშტაბი		
					1 : 100	„ბ.ფ. ჯგუფი„	

samSeneb l o gengegma

s/k # 01. 19. 22. 007. 047



#	დასახელება
1	შემოსასვლელი შენობა
2	სადემონტაჟო შენობა
3	საპირფარეშო
4	სადემონტაჟო შენობა
5	ღია ანგარი
6	გამწმენდი ნაგებობა
7	სადემონტაჟო შენობა
8	საწყობი სადემონტაჟო შენობა
9	საწყობი
10	სამლებრო სათუნუქე
11	სამრეცხაო
12	სამრეცხაო ლითონის
13	საწყობი
14	სადემონტაჟო შენობა
15	საწვავგასამართი და ჯიხური
16	საწვავგასამართი და ჯიხური
17	საწყობი
18	სადემონტაჟო ჯიხური
19	საწვავგასამართის სანასოსე
20	სატრანსფორმატოროს შენობა
21	სადემონტაჟო შენობა
22	სერვისცენტრი და ადმინისტრაცია
23	არტერიული წყლის რეზერვუარი(მათ შორის ჯიხური)
24	შესანარჩუნებელი
25	არტერიული წყლის რეზერვუარი(მათ შორის ჯიხური)
26	სარეკონსტრუქციო ადგილი

samSeneb l o Robis eskizi



_ samSeneb l o Robe warmoadgens miwaSi Cabetonebul liTonis milkvadratebze vertikalur sibrtyeSi Sekidul Tunuqis profilirebul furcels an orientirebul burbuSelovan filas. simaRle - 2,20 m .

_ samSeneb l o gengegma efuZneba damkveTis mier mowodebul topogadaRebis gegmas.

_ samSeneb l o Robe ganTavsdes sakadastro sazRvrebSi, samuSao fazebis gaTvaliswinebiT, lokalurad dasaSeli da samSeneb l o Senoba-nagebobis samSeneb l o procesisaTvis gaTvaliswinebul saWiro arealSi .

Tanamdeboba	gvari	TariRi	xelmowera	q. Tbilisi, Joresis quCa #7 Sps ,,Tbilisis satransporto kompania #1,, avtobazis mSeneb l oba	stadia	furceli	formati
direqtori	b. dgebuaZe				mp	mop-3	A2
daamuSava	b. dgebuaZe						
Seamowma				samuSao Ta warmoebis samSeneb l o gengegma faza- 3	masStabi		
					1 : 100	,,b.d. jgufi,,	

სამშენებლო გენგეგმა

ს/კ № 01. 19. 22. 007. 047



#	დასახელება
1	შემოსასვლელი შენობა
2	სადემონტაჟო შენობა
3	საპირფარეშო
4	სადემონტაჟო შენობა
5	ღია ანგარი
6	გამწმენდი ნაგებობა
7	სადემონტაჟო შენობა
8	საწყობი სადემონტაჟო შენობა
9	საწყობი
10	სამღებრო საღუნელე
11	სამრეცხაო
12	სამრეცხაო ლითონის
13	საწყობი
14	სადემონტაჟო შენობა
15	საწვავგასამართი და ჯიხური
16	საწვავგასამართი და ჯიხური
17	საწყობი
18	სადემონტაჟო ჯიხური
19	საწვავგასამართის სანასოსე
20	სატრანსფორმატოროს შენობა
21	სადემონტაჟო შენობა
22	სერვისცენტრი და ადმინისტრაცია
23	არტეზიული წყლის რეზერვუარი(მათ შორის ჯიხური)
24	შესანარჩუნებელი
25	არტეზიული წყლის რეზერვუარი(მათ შორის ჯიხური)
26	სარეკონსტრუქციო ადგილი

სამშენებლო ღობის ესკიზი



– სამშენებლო ღობე წარმოადგენს მიწაში ჩაბეტონებულ ლითონის მილკვადრატებზე ვერტიკალურ სიბრტყეში შეკიდულ თუნუქის პროფილირებულ ფურცელს ან ორიენტირებულ ბურბუშელოვან ფილას. სიმაღლე - 2,20 მ.

– სამშენებლო გენგეგმა ეფუძნება დამკვეთის მიერ მოწოდებულ ტოპოგადაღების გეგმას.

– სამშენებლო ღობე განთავსდეს საკადასტრო საზღვრებში, სამუშაო ფაზების გათვალისწინებით, ლოკალურად დასაშლელი და სამშენებლო შენობა-ნაგებობის სამშენებლო პროცესისათვის გათვალისწინებულ საჭირო არეალში.

თანამდებობა	გვარი	თარიღი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, ჟორესის ქუჩა №7 შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია №1„ ავტობაზის მშენებლობა	სტადია	ფურცელი	ფორმატი
დირექტორი	ბ. დგებუაძე				მ.პ	მოპ-4	A2
დაამუშავა	ბ. დგებუაძე						
შეამოწმა				სამუშაოთა წარმოების სამშენებლო გენგეგმა ფაზა- 4	მასშტაბი	„ბ.დ. ჯგუფი„	
					1 : 100		